# დრონოვა II ადგილზეა

2 დეკემბერს ნაგოიაში — იაპონიის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში დაიწყო ექვსი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა ამხანაგური შეჯიბრება. ვაჟთა შორის სამ იარაღზე ასპარეზობის შემდეგ ლიდერობდა სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ანდრიანოვი—28,40 ქულა (რგოლები—9,50, ხტომა—9,70, ორძელი — 9,20). II და III ადგილებზე იყვნენ იაპონელები ს. კასამაცუ (28,35) და მ. ცუკახარა (28,30).

ანდრიანოვი მეორე დღესაც წარმატებით გამოვიდა. მან შეინარჩუნა უპირატესობა, მრავალჭიდში 56,70 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაიკავა. II ადგილზეა იაპონელი ა. კენმოცუ — 56,50, III კი კასამაცუ — 56,35. V-VI ადგილებზე გავიდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ვ. მზიუკინი და ე. მიქაელიანი.

დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა ქალთა შეჯიბრება. მიუნხენის ოქროსა და ვერცხლის პრიზიორებს ლ. ტურიშჩევასა (სსრ კავშირი) და კ. იანცს (გდრ) თავგამოდებით ებრძოდა 14 წლის თბილისელი მოსწავლე ნ. დრონოვა. იგი ლიდერობდა ორი იარაღის შემდეგ — 19,35 ქულა (დვირი — 9,60, თავისუფალი ვარჯიში — 9,75). ტურიშჩევას და იანცს 19,25-19,25 ქულა ჰქონდათ (V ადგილზე იყო ლ. ბურდა — 19,00). სამწუხაროდ, ნორჩმა თბილისელმა ტანმოვარჯიშემ ბოლომდე ვერ შეინარჩუნა უპირატესობა და II ადგილს დასჯერდა—38,75 ქულა. გაიმარჯვა იანცმა—38,80. მესამე იყო მიუნხენის ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონი ტურიშჩევა, რომელიც 0,05 ქულით ჩამორჩა ნორჩ თბილისელს.

შემდეგი შეჯიბრება 5-6 დეკემბერს მოეწყობა.

• • •

სურათზე: ნ. დრონოვა.
საქინფორმის ფოტოქრონიკა.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 240 (4750)

1972 წ. 5 დეკემბერი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1984 წლის 13 აპრილიდან

# 3 ქულა სამიდან!

## ტელეფონით

ვრნიაჩკა-ბანიაში დაიწყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის IV ტრადიციული გათამაშება. ტურნირში უკვე გათამაშდა 3 ტური. მათი შედეგები გუშინწინ გვაცნობა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა.

I ტური. ერენსკა (პოლონეთი) — პიხაილიჩი (იუგოსლავია) 0,5:0,5, პოლიქრონიადე (რუმინეთი) — ალექსანდრია (სსრ კავშირი) 0:1, მერლინი (საფრანგეთი) — გაფრინდაშვილი (სსრ კავშირი) 0:1, ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია) — ვეტშტაინი (შვეიცარია) 1:0. გადაიდო პარტიები: კონარკოვსკა-სოკოლოვა (იუგოსლავია) — ტიმერი (ჰოლანდია), ვერეცი — ივანკა (ორივე — უნგრეთი).

II ტური. პიხაილიჩი — ვეტშტაინი 1:0, გაფრინდაშვილი — ერეტოვა 1:0, ივანკა — პოლიქრონიადე 0,5:0,5, ტიმერი — ვერეცი 0:1. გადაიდო პარტიები: მერლინი — ალექსანდრია (ნანას ზედმეტი პაიკი აქვს), კონარკოვსკა-სოკოლოვა — ერენსკა.

III ტური. ერეტოვა — ალექსანდრია 0,5:0,5, ვეტშტაინი — გაფრინდაშვილი 0:1. გადაიდო პარტიები: კონარკოვსკა-სოკოლოვა — პიხაილიჩი, ვერეცი — ერენსკა, პოლიქრონიადე — ტიმერი, მერლინი — ივანკა.

4 დეკემბერს შედგება გადადებული პარტიების დამთავრება, 5 დეკემბერს კი IV ტური გაიმართება. ჯერჯერობით მე ვლიდერობ — 3 ქულა მაქვს სამიდან, — გვითხრა დასასრულს ნონამ.

# ვსევოლოდ ბობროვი 50 წლისაა

მოსკოვი, 2 დეკემბერი. გუშინ ადგილობრივმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ, ამხანაგებმა და მეგობრებმა გულთბილად მიულოცეს გამოჩენილ საბჭოთა ფეხბურთელსა და ჰოკეისტს ვ. ბობროვს დაბადების 50 წლისთავი.

თავის დროზე ვსევოლოდ ბობროვი ერთდროულად სსრ კავშირის ფეხბურთელთა და ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების კაპიტანი გახლდათ. მილიონობით სპორტის მოყვარული სტადიონზე სწორედ ბობროვის სანახავად მიდიოდა — გულშემატკივრებმა იცოდნენ, რომ როცა მინდორზე ბობროვი იყო, თამაში უინტერესო არ იქნებოდა.

ახლა ვ. ბობროვი სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელია და ამიტომ იუბილეზე გამოსულებმა — სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ნ. სიმონიანმა, ვ. ფიოდოროვმა, გ. მკრტჩიანმა, ვ. სტარშინოვმა, ა. აკიმოვმა და სხვებმა იუბილარს არა მარტო ჯანმრთელობა უსურვეს, არამედ ახალ, ძნელ სეზონში დიდი წარმატებებიც.

# 5 დეკემბერი სსრ კავშირის კონსტიტუციის დღე




# შარშანდელივით III ადგილი

ბუდაპეშტი, 3 დეკემბერი. დღეს აქ დამთავრდა წყალბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური ეტაპი. ბოლო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ბუდაპეშტი" და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის (მოსკოვი) გუნდი. თამაშის დამთავრებამდე 4 წამით ადრე ქმუდსკიმ შორეული დარტყმით აიღო მასპინძელთა კარი. ამ გოლმა საბჭოთა გუნდს გამარჯვება მოუტანა — 5:4 (მანამდე საბჭოთა გუნდი ბუქარესტის „დინამოსთან" დამარცხდა — 5:6).

და მაინც, თასი მოიპოვა „ბუდაპეშტმა", რომელმაც ერთნაირი ანგარიშით (5:4) სძლია ბელგრადის „პარტიზანსა" და ბუქარესტის „დინამოს".

III ადგილზე, ისევე როგორც შარშან, მოსკოველი მეზღვაურები გავიდნენ: მათ იუგოსლავიის გუნდმა — ბელგრადის „პარტიზანმაც" გაუსწრო.

წყალბურთი



◆ კოლომბო, 4 დეკემბერი. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა დაამთავრა ტურნე შრი ლანკაში — ბოლო მატჩში ანგარიშით 4:0 სძლია მასპინძელი ქვეყნის ნაკრებს. ბურთები გაიტანეს გ. ნოდიამ (2), ყიფიანმა და რეხვიაშვილმა. ადგილობრივი პრესის ერთსულოვანი აზრით, ასეთი ძლიერი გუნდი შრი ლანკას ჯერ არ სწვევია.

◆ ლაიპციგი, 4 დეკემბერი. ფრენბურთელ ვაჟთა ექვსი გუნდის აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში მოსკოვის ცსკა-მ წარმატებით ჩაატარა ბოლო შეხვედრაც — ანგარიშით 3:1 (12:15, 15:6, 15:9, 15:12) დაამარცხა სოფიის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე", 10 ქულა დააგროვა და მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა.

◆ ვიტენბერგი, 4 დეკემბერი. ი. ჰააზემ აქ გდრ-ის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა კროსში — 12-კილომეტრიანი მანძილი 37 წუთსა და 44,4 წამში გაირბინა. ქალთა შორის (ტრასა — 2,3 კმ) ყველაზე აჯობა ი. კლაუსმა — 7.53,4.

# თავდაცვითი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ამოცანა

მოსკოვში 28 ნოემბერს დაიწყო და მეორე დღეს დამთავრდა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების (დოსააფი) ცენტრალური კომიტეტის II პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: საზოგადოების ორგანიზაციებში სამხედრო-პატრიოტული მუშაობის დღევანდელი მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გენერალ-მაიორი ხ. გრაჩოვი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშრომელთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა ხელს შეუწყობს მთელი თავდაცვით-მასობრივი მუშაობის დონის ამაღლებას, საზოგადოების რიგების ზრდას, შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის ახალგაზრდობის უკეთ მომზადებას, სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების მასობრივად განვითარებას. დოსააფის სასწავლო ორგანიზაციები ყოველწლიურად ათი ათასობით სპეციალისტს ამზადებენ არმიისა და ფლოტისთვის.

მეორე დღეს პლენუმის მონაწილეებმა იმსჯელეს თავდაცვითი საზოგადოების ორგანიზაციებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარების საკითხზე. მომხსენებელმა — სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. დიომინმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოების კომიტეტები ბოლო ხანს საგრძნობლად შეივსო სასწავლო და თავდაცვით-სპორტული მუშაობისთვის აუცილებელი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მწყობრში ჩადგა ასობით სპეციალური ნაგებობა და ბაზა.

პლენუმის დადგენილებაში დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისთვის.

დასასრულ პლენუმზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სამგზის გმირი, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ა. პოკრიშკინი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, არმიის გენერალი ა. ეპიშევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ი. პავლოვსკი და სხვ.

პლენუმის მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

საქინფორმი

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე

# მეტი ყურადღება ფიზკულტურული მოძრაობის საფუძველს!




30 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმი, რომელსაც ესწრებოდნენ რესპუბლიკის კომკავშირისა და ფიზკულტურის ხელმძღვანელი მუშაკები, აქტივისტები.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ფოფხაძის მოხსენება „მშდ კომპლექსის ცხოვრებაში დანერგვისთვის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებში“.

მომხსენებელმა აღნიშნა, როგორ ზრუნავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისთვის, რომლის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია ახალგაზრდობის ფიზიკური სრულყოფა, რა ღონისძიებები ტარდება ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისთვის, როგორ მუშაობენ კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანიზაციები. ითქვა, რომ მშდ ახალი ფიზკულტურული კომპლექსის ცხოვრებაში დანერგვა მარტო ფიზკულტურული ორგანიზაციების კი არა, პროფკავშირული, თავდაცვითი, განსაკუთრებით კი კომკავშირული ორგანიზაციების ვალიცაა. ამ საქმეში კომკავშირის როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი საკავშირო პროფსაბჭოს, სპორტკომიტეტის, დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ხელშეწყობით წლეულს 1 მარტიდან გაისის 24 ივნისამდე აწყობს კომკავშირელებისა და ახალგაზრდების, პიონერთა და მოსწავლეთა ფიზიკური და სამხედრო-ტექნიკური მომზადების საკავშირო გამოცდას. იგი საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში მშდ კომპლექსის დანერგვის, მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების ქმედით ფორმად უნდა იქცეს.

ნ. ფოფხაძემ თქვა, რომ ახალი კომპლექსის შემოღებიდან უკვე საკმაო დრო გავიდა და შეიძლება გაწეული შრომა გავაანალიზოთ, ვნახოთ, რა გაკეთდა საქართველოში, როგორ მუშაობენ კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები.

რესპუბლიკაში კომპლექსის პროპაგანდა საკმაოდ ინტენსიური იყო, რასაც სათანადო ნაყოფიც მოჰყვა — ნახევარი მილიონი კაცი ჩაება ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადებაში. სადღეისოდ კომპლექსის ყველა ნორმატივი 35 ათას კაცს აქვს ჩაბარებული, ოთხი და მეტი სახეობის მოთხოვნები — 55 ათასს. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგად იმუშავეს კომკავშირის რუსთავის საქალაქო ორგანიზაციამ, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, თელავის, სამტრედიის, მახარაძის, ხაშურის კომკავშირის კომიტეტებმა. მომხსენებელმა სოფლის კოლექტივებიდან გამოყო მახარაძის რაიონის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია. მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის მაღალი დონის შედეგია, რომ მეურნეობაში ჰყავთ 5 სპორტის ოსტატი, 44 პირველთანრიგოსანი, სხვა თანრიგების 178 სპორტსმენი, 100-ზე მეტი საზოგადოებრივი მსაჯი და ინსტრუქტორი. ლაითურელი ახალგაზრდების გარჯით შექმნილი ორი სტადიონი, ორი სპორტული დარბაზი, 14 მოედანი სისტემატური მეცადინეობისთვის დიდ შესაძლებლობებს ქმნის.

მომხსენებელმა აქო თბილისის ელმავალსაშენი, საავიაციო, სატელეგრაფო აპარატურის ქარხნების, № 14 სამშენებლო ტრესტის, ბათუმის მანქანათსაშენი, ფოთის ელექტრომექანიკური, ქუთაისის საავტომობილო ქარხნების ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციები.

მოხსენებაში განსაკუთრებით დიდი ადგილი დაეთმო ნაკლოვანებათა მხილებას. ნ. ფოფხაძემ აღნიშნა, რომ საგარეჯოს, ახალქალაქის, ბორჯომის, გარდაბნისა და სხვა კომკავშირულ ორგანიზაციებში მუშაობა სათანადოდ ჯერ არ გაშლილა.

გეგეჭკორის რაიონში უხეშად დაირღვა მშდ კომპლექსის დებულება, იყო მიწერის შემთხვევები — 4098 ახალგაზრდას დაუმსახურებლად მიაკუთვნეს ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნები. ყალბისმქნელნი დაისაჯნენ.

ითქვა, რომ კომკავშირისა და ფიზკულტურის ხელმძღვანელი მუშაკები ზემდგომ ორგანოებში წარსადგენი მასალების შედგენისას ხშირად სრულ უვიცობას იჩენენ, მათს მიერ მოყვანილი ციფრები სინამდვილიდან არ არის აღებული. ორჯონიკიძის კომკავშირის რაიონული კომიტეტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის ანალიზის მიხედვით 10 ნოემბრისთვის რაიონში 10-28 წლის 8515 ახალგაზრდა ყოფილა, მათ შორის, 8950 (!) კომკავშირელი და 1450 (!) პიონერი. ინფორმაციაში აღნიშნული იყო, თითქოს I საფეხურის ნორმატივები 120 გოგონას და ბიჭს ჰქონდა ჩაბარებული, მათგან ოქროს სამკერდე ნიშანზე—225-ს (!). ასეთ უაზრო ინფორმაციას ხელს აწერს რაიკომის პირველი მდივანი ე. ბედიაშვილი.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ახალქალაქის კომკავშირის რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის მ. კოჩოიანის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად რაიონში 10600 ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნოსანი მოუმზადებიათ. ფანტასტიკური ციფრია! საკითხავია, სად ჩააბარეს ნორმატივები ცურვაში? ამ სახეობაში ნორმატივებს ამდენი კაცი მთელს ზღვისპირეთში ვერ ჩააბარებდა. ეს არის მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების, უპასუხისმგებლობის ნიმუში. სამწუხაროდ, ასეთი ფორმალიზმი, ციფრებით გატაცება სხვა რაიონებშიც შეინიშნება.

მომხსენებელმა ამხილა იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც, რომლებიც მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისა და მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის მნიშვნელობას სათანადოდ ვერ აფასებენ.

შემდეგ ნ. ფოფხაძემ ილაპარაკა სოფლად ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე, მშდ კომპლექსის დანერგვის ღონისძიებებზე. მან თქვა, რომ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა და „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ ახალი კომპლექსის პოპულარიზაციის მიზნით ძალიან სასარგებლო ღონისძიება ჩაატარეს—სპორტული ბაზების კეთილმოწყობის ერთთვიური და სოფლის სპორტსმენთა სპარტაკიადა ეროვნულ სახეობებში. სამწუხაროდ, სპარტაკიადას თავი აარიდეს ადიგენის, ასპინძის, ამბროლაურის, ახმეტის, ბორჯომის, ბოგდანოვკის, თეთრი წყაროს, თიანეთის, მაიაკოვსკის, მესტიის, ყაზბეგის, წალკის რაიონების კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

ნ. ფოფხაძემ მკაცრად გააკრიტიკა ზოგიერთი უინიციატივო კომკავშირული და ფიზკულტურული მუშაკი, რომლებიც საქმეს თვითდინებით მიჰყვებიან, რაიონში ერთი სახეობის, მაგალითად, ფეხბურთის განვითარებით კმაყოფილდებიან და მთელ სახსრებს მისთვის ხარჯავენ.

მოხსენებაში სათანადო ადგილი დაეთმო მშდ კომპლექსით სტუდენტთა დაინტერესებას. ნ. ფოფხაძემ გააკრიტიკა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. ამ სასწავლებლის 3600 სტუდენტიდან 3450 კომკავშირელია. მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში 1500 კაცია ჩაბმული, მაგრამ ყველა მოთხოვნა ჯერჯერობით არც ერთ მათგანს არ შეუსრულებია. ასეთივე სურათია თბილისის სამედიცინო ინსტიტუტშიც.

ნ. ფოფხაძემ სერიოზული პრეტენზიები წაუყენა კომკავშირის თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომს (მდივანი მ. გოჩალეიშვილი). მან თქვა, რომ სწორედ ამ რაიონშია თავმოყრილი უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა, ტექნიკუმები, სამეცნიერო დაწესებულებები, 9 თვის მანძილზე კი ნორმატივები მხოლოდ 565 კაცმა ჩააბარა. სტუდენტებს შორის სუსტი მასობრივ-სპორტული მუშაობის გამო შედეგებმაც იკლო — საკავშირო პირველობის „ა“ კლასს ზედიზედ გამოეთხოვნენ „ბურევესტნიკის“ კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა, ხელბურთელ ვაჟთა გუნდები.

როცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მუშაობის საკითხს შეეხო, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სპორტის განვითარების საერთო დონე არადამაკმაყოფილებელია. ვერც ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საქმეა სახარბიელოდ. ბევრ სკოლაში ფიზაღზრდის სწავლება სათანადო დონეზე არ დგას, მოსწავლეთა ჯანმრთელობა კი უპირველესი საზრუნავია. რესპუბლიკის საშუალო სკოლებიდან ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო 1437 ბავშვია განთესილი. ეს არ მოხდებოდა, მათი ფიზაღზრდის მასწავლებლები, სკოლების კომკავშირული ორგანიზაციები ასეთ ბავშვებს მეტ ყურადღებას რომ აქცევდნენ. არც მოსწავლეთა სპორტი უნდა დავივიწყოთ. როგორ შევარჩიოთ ნიჭიერი ბავშვები, თუ ისინი სექციებში არ მეცადინეობენ? საქართველოს სკოლებში ფიზკულტურის კოლექტივების წევრად 548 ათასი მოსწავლე ირიცხება, სექციებში კი რეგულარულად მათი მხოლოდ 3 პროცენტი მეცადინეობს. ეს სასკოლო სპორტული ბაზების სიმცირითაც აიხსნება.

— როცა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაზე ვლაპარაკობთ, როცა ამ საქმეში უმოქმედობისთვის კომკავშირულ მუშაკებს ვაკრიტიკებთ, არც სპორტული ბაზები და მათი დირექციები უნდა დაგვავიწყდეს, — თქვა მომხსენებელმა. — ბაზების მხრივ განებივრებული არ ვართ, რაც გვაქვს, მათი უმეტესობაც მოუვლელია, ვერ უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს. უპატრონოდ მიტოვებულს ჰგავს თბილისში ლენინის სახელობის, სპორტკლუბ „სინათლის“, ფაბრიკა „ისნის“ სტადიონები. რესპუბლიკის სპორტული ბაზების მუშაობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათი ეფექტური გამოყენებით შესაძლებელია 20-30 პროცენტით გავზარდოთ ფიზკულტურაში მომეცადინეთა რიცხვი.

ნ. ფოფხაძემ აღნიშნა, რომ მასობრივი მუშაობის დაბალი დონის გამო სერიოზულად ჩამოვრჩებით თანამედროვე ხუთჭიდში, ტანვარჯიშში, ფარიკაობაში, კალათბურთში, მძლეოსნობასა და სხვა სახეობებში. აჭარაში, აფხაზეთში, რუსთავში, თელავში თითქოს 30 ათასამდე მძლეოსანია, რომელთაგანაც ნახევარი თანრიგოსანი გახლავთ, მაგრამ აღნიშნულ კომიტეტებს რესპუბლიკურ შეჯიბრებებში სრულად დაკომპლექტებული გუნდები ვერ გამოჰყავთ. ესე იგი, ზემოთ მოყვანილი ციფრი სარწმუნო არ არის. საგრძნობლად იკლო ინტერესმა ფარიკაობისადმი. ჩაქრა ამ სახეობის კერები სოხუმში, ქუთაისში, ზესტაფონში.

მოხსენების დასასრულს ნ. ფოფხაძემ ყურადღება გაამახვილა მშდ კომპლექსის ისეთ აუცილებელ სახეობებზე, როგორიცაა ცურვა და, განსაკუთრებით, ტყვიის სროლა. ითქვა, რომ რესპუბლიკაში სადღეისოდ მხოლოდ 25 სრულყოფილი სასროლეთია და ისინიც თბილისში, რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებშია თავმოყრილი. რაიონულ ცენტრებში, დაბებში, სოფლებში ბაზების მხრივ სავალალო მდგომარეობაა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სასროლეთების რიცხვის გაზრდის მიზნით მიიღო გადაწყვეტილება: იმ საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების დირექციებს, სადაც დოსააფის ორგანიზაციის წევრი 1000 კაცზე მეტია, უფლება აქვთ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ფონდიდან გამოყონ სახსრები ტიპური პროექტით 50-მეტრიანი ტირის ასაგებად.

თანამომხსენებელმა — საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძემ ილაპარაკა იმაზე, რაც ჩვენს რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას აფერხებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სპორტულ ბაზებს. გ. სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ამ მხრივ კვლავ არასახარბიელო მდგომარეობაა სკოლებში: ბოლო 5 წლის განმავლობაში რესპუბლიკაში 95 სკოლა აშენდა უდარბაზოდ. სამხრეთ ოსეთის 105 სკოლიდან დარბაზი მხოლოდ 15-ს აქვს. სათანადო ყურადღება არ ექცევა საცხოვრებელ მასივებში სპორტული ბაზების აგების თაობაზე ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

მისასალმებელია თბილისის ორჯონიკიძისა და პირველი მაისის რაიონების, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის, ახალციხის რაიონის აწყურის საბჭოთა მეურნეობების, მახარაძის რაიონის შემოქმედის კოლმეურნეობის, სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, დირექციების თაოსნობა ახალგაზრდობის დარაზმვისა და ბაზების საკუთარი ძალებით მოწყობის საქმეში.

გ. სიხარულიძემ მოიწონა ახალი კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარების მიზნით რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ახალგაზრდობის წამოწყება, რომელსაც უკვე რესპუბლიკის სამი ათასამდე კოლექტივი გამოეხმაურა. მან ილაპარაკა ამ საქმეში ხელმძღვანელ მუშაკთა პირადი მაგალითის როლზე, აღნიშნა, რომ ამ მხრივ მისაბაძი არიან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის მდივანი მ. დანელია, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი რ. მეცხვრიშვილი, ქარხანა „მაგნიტოფონის“ კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი თ. ხიზანიშვილი, ამავე ქარხნის მოწინავე მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ბროვკინი, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ამწევი საამქროს უფროსი მ. ლორია და სხვები, რომლებიც ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად სარბიელზე ერთ-ერთი პირველნი გავიდნენ.

აღინიშნა ისიც, რომ ტყვარჩელში, გულრიფშისა და სოხუმის რაიონებში დღემდე ახალი კომპლექსის ნორმატივები მთლიანად ერთ კაცსაც არ ჩაუბარებია. სოხუმის არც ერთ ბაზაზე არ არის წინაღობათა ზოლი, არა აქვთ კომპლექსის პროპაგანდის საშუალებანი. ასეთივე მდგომარეობაა ჯავის, ლენინგორისა და ზნაურის რაიონებში. თიანეთის რაიონში ფიზკულტურული მუშაობა საერთოდ ჩამკვდარია. ახალ კომპლექსს ამ რაიონში, როგორც ჩანს, ჯერ არ შეუღწევია. საგარეჯოს რაიონის სოფლების ყანდაურის, პატარძეულის, გომბორის, კრასნოგორსკის, ჩაილურის მეურნეობებში მშდ კომპლექსის ნორმატივების მიმღები კომისიები დღემდე არ შეუქმნიათ.

თანამომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში შემჩნეულია ცრუნიშნოსნების „მომზადების“ ფაქტები. ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიწერისა და საფინანსო დისციპლინის დარღვევისთვის თანამდებობიდან მოხსნა დმანისის (ი. მუსტაფაევი), თიანეთის (გ. ბიჩელაშვილი), ახალციხის; (ქ. გოგოლაძე), გეგეჭკორის (გ. სურმავა), ტყიბულის (ვ. ოქრუაძე) ფიზკულტურის კომიტეტების თავმჯდომარეები.

ბევრ კოლექტივში ფიზკულტურის ინსტრუქტორისა და საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტის შტატებს დირექტორები თვითნებურად აუქმებენ ან არადანიშნულებისამებრ იყენებენ. მაგალითად, თეთრი წყაროსა და ორბეთის საბჭოთა მეურნეობებში ინსტრუქტორის შტატი არადანიშნულებისამებრ გამოიყენეს. ასურეთის კოლმეურნეობაში ინსტრუქტორ-მეთოდისტის ისედაც ნახევარი შტატი მეთოდისტსა და საკოლმეურნეო სტადიონის დარაჯს კიდევ შუაზე გაუყვეს. თბილისის ანალიზურ ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში (უფროსი გ. სიმონიანი) ინსტრუქტორ-მეთოდისტის შტატი გააუქმეს. ასე მოიქცნენ საიუველირო და სუვენირების ფაბრიკაშიც (დირექტორი ბ. გოგოლაძე). ქარხანა „ელექტროძრავაში“ (თ. კახიანი) ინსტრუქტორ-მეთოდისტის ხელფასს საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს აძლევენ...

გ. სიხარულიძემ დაასახელა ფიზკულტურულ კოლექტივებში კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში დაშვებული სხვა შეცდომებიც. მაგალითად, მან თქვა, რომ თბილისის პირველი მაისისა და კიროვის რაიონებში ნორმატივები მთლიანად შესაბამისად 1264 და 539 ფიზკულტურელს „ჩააბარებინეს“, სინამდვილეში კი ყველა ნორმატივი მხოლოდ 431 და 147 კაცს ჰქონდა ჩაბარებული.

პლენუმზე ისიც ითქვა, რომ სასწავლებლების დიდ ნაწილში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზებია. თბილისის მე-5, სოხუმის მე-6, ბათუმის მე-4, ცხინვალის მე-3, სოფელ გურმის (ტყიბული) საშუალო სკოლების, თბილისის მე-18 და 23-ე პროფტექსასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციები ფიზაღზრდისა და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების სწორი ორგანიზაციისთვის არავითარ ინიციატივას არ იჩენენ.

— ახლა უმაღლეს სასწავლებლებში შევიხედოთ, — განაგრძობს სიხარულიძე. — მათ სპორტული ნაგებობანი ფიზაღზრდის აკადემიური საათებისთვისაც არ ჰყოფნით. ჩვენი რესპუბლიკის სტუდენტებს კომკავშირულ მშენებლობებზე თავი ბევრჯერ უსახელებიათ და ალბათ არც საკუთარი სპორტული ბაზების აგებაშიც დარჩებოდნენ ვალში, საამისოდ სასწავლებლების დირექციები, ფიზკულტურის კათედრები, კომკავშირული ორგანიზაციები რომ დარაზმავდნენ.

სტუდენტური სპორტი ბევრ ინსტიტუტში უკან მიდის. ეს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის შენელების შედეგია, რაც მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაშიც აისახა. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩნენ უნივერსიტეტი, სადაც ყველა ნორმატივი დღემდე მხოლოდ 8 კაცმა ჩააბარა, ფიზკულტურის ინსტიტუტი (15) და პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სადაც არც ერთი ნიშნოსანი არ ჰყავთ. ბევრს ვერც ქუთაისისა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტები, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები დაიქადნიან. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ თბილისის სასოფლო-სამეურნეო და გორის პედაგოგიური ინსტიტუტები.

ილაპარაკა რა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მნიშვნელობაზე, გ. სიხარულიძემ თქვა, რომ ეს ღონისძიება მოსახლეობის ფართო ფენების გაჯანსაღებისკენაა მიმართული.

როცა სოფლად მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის დონეს შეეხო, თანამომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბევრგან არსებული შესაძლებლობანი სათანადოდ არ არის გამოყენებული, ხელმძღვანელები ზოგჯერ დანაშაულს სჩადიან. გ. სიხარულიძემ მაგალითებიც საკმაოდ დაასახელა. მაგალითად, თქვა, რომ ბოგდანოვკის რაიონის სოფელ კათნატუს კოლმეურნეობის თავმჯდომარის შ. მიქაელიანის განკარგულებით ფეხბურთის მინდორზე საცხოვრებელი სახლი ააგეს; სოფელ დიდი ხანჩალის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. არუთინიანმა ფეხბურთის მინდორზე საკვები ბაზა მოაწყო; ახალქალაქის რაიონის სოფელ ხულგუმოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ტოპოლიანმა ფეხბურთის მინდორი საძოვრად აქცია.

შემდეგ სიხარულიძემ პლენუმის მონაწილეთ მოაგონა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებაში საუკეთესო რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტებისა და ფიზკულტურის კოლექტივების დასაჯილდოებლად ხუთი გარდამავალი წითელი დროშა დააწესა. მან მოკლედ მიმოიხილა მიუნხენის ოლიმპიადაში საქართველოს სპორტსმენთა მიღწევებიც.

გ. სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენებმა პირველი ნაბიჯები სწორედ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებით გადადგეს.

კამათში მონაწილეობდნენ: კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. აბდუშელიშვილი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, პროფესორი უ. ობოლაძე, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ბარციცი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი ნ. ბარკოვი, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. ბაბუციძე, წითელი წყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ა. ბობაიძე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სანეევი, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ე. ცინცაძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის თანაშემწე ა. შანიძე, კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ფაჩუაშვილი, კომკავშირის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი ვ. აბულაძე და თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. ხუხუნაიშვილი.

მათ ილაპარაკეს თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციებში, რესპუბლიკის სკოლებში, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, მაიაკოვსკის კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებში, თბილისის არმიის სპორტულ კლუბში, ხელვაჩაურის რაიონში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში ახალგაზრდობის საქმიანობაზე.

პლენუმზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი. მან თქვა, რომ მოზარდთა ნაკრები გუნდების დაკომპლექტებისას ჯერ კიდევ ხშირია დამახინჯების ფაქტები. მაგალითად დაასახელა „ტყავის ბურთის“ პრიზის გათამაშება. ტურნირში მონაწილე 22 გუნდიდან 19 კოლექტივში მოხდა სხვადასხვაგვარი დარღვევები. ბოლნისის რაიონში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში დაუშვებელი სიყალბე მოხდა. 1000 ფიზკულტურელიდან ნორმატივები ზოგს ისეთს „ჩააბარებინეს“, ვინც რაიონში საერთოდ არ ცხოვრობდა. ამის გამო კომკავშირის რაიკომის მდივნები მაღრაძე და მამედოვი სამსახურიდან მოიხსნენ. ჯ. პატიაშვილმა ილაპარაკა თბილისში სანაპიროზე საცურაო აუზის გაჭიანურებულ მშენებლობაზე, „დინამოს“ სტადიონის უთავბოლო რეკონსტრუქციაზე...

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწვრთნელები გამოთქვამენ აზრს

ინტერვიუ

უეფა-ს ტურნირის შესარჩევი მატჩის შემდეგ, რომელიც 2 დეკემბერს შედგა თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე სსრ კავშირისა და თურქეთის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის, ჩვენი კორესპონდენტი ა. რონდელი ესაუბრა ორივე კოლექტივის მწვრთნელებს — ნ. ნიშსა და ე. ლიადინს. მწვრთნელებს მიეცათ ერთიდაიგივე შეკითხვები:

1. სამართლიანად მიგაჩნიათ თუ არა მატჩის შედეგი?
2. კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი გუნდის თამაშით?
3. ვის გამოჰყოფდით როგორც თქვენს, ისე მეტოქის გუნდში?
4. როგორ აფასებთ მეტოქეს?
5. რას ელით განმეორებითი მატჩისგან?

ნიში: წაგებული მატჩით კმაყოფილი ვინ იქნება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველ ტაიმს ვაგებდით ანგარიშით 0:3, ბოლო ჩვენთვის არც ისე ტრაგიკული გამოდგა.

ლიადინი: შედეგით კმაყოფილი არა ვარ. ვალდებული ვიყავით შეგვენარჩუნებინა დიდი ანგარიში და, საერთოდ, უკეთესი შედეგის იმედი მქონდა.

ნიში: ჩვენმა გუნდმა ვერ ითამაშა სრული ძალით, განსაკუთრებით, პირველ ტაიმში. თავდამსხმელები ერიდებოდნენ კარში დარტყმას, პასიურობდნენ. შესვენების შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა, თურქმა ფეხბურთელებმა მეტი ფხა გამოიჩინეს.

ლიადინი: გამოტეხილი უნდა ითქვას — რიგიანად ვერ ვითამაშეთ. განსაკუთრებით გამაწბილა ნახევარდაცვამ. ჩვენი ჰავბეკები ზედმეტად ატარებდნენ ბურთს, არ ეხმარებოდნენ თავდამსხმელებს, ამას გარდა, უხეშ შეცდომებს უშვებდა დაცვა. ცუდად ითამაშა მეკარემაც.

ნიში: არ გამიმართლა ერთიურქმა (№ 10), რომლისაც დიდი იმედი მქონდა. სამაგიეროდ, თავი გამოიჩინა მარჯვენა მცველმა გიულეზმა და ნახევარმცველმა ეგრუჯუმ (№ 6). საბჭოთა გუნდში მომეწონა მარცხენა გარემარბი ფიოდოროვი.

ლიადინი: საბჭოთა ნაკრებში უდავოდ საუკეთესო იყო ფიოდოროვი. მეტოქეთა რიგებში გამოირჩეოდნენ გიულეზი და ეგრუჯუ.

ნიში: საბჭოთა ნაკრები უწინ არ მყავდა ნანახი, თუმცა ყველა მეუბნებოდა, ძალიან ძლიერი და აგრესიული გუნდიაო. მაგრამ ამ მატჩის შემდეგ მე ამას ვერ ვიტყვი. გუნდი, რა თქმა უნდა, ძლიერია, მაგრამ მის წინააღმდეგ თამაში შეიძლება.

ლიადინი: თურქეთის ჭაბუკთა კოლექტივმა, რომელიც პირველად ვნახე, კარგი შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებით აღვნიშნავ მოთამაშეთა საბრძოლო თვისებებს, უტეხ ნებისყოფას.

ნიში: საპასუხო მატჩში ჩვენს მინდორზე გაცილებით უფრო ძლიერად უნდა ვითამაშოთ და რევანშიც ავიღოთ.

ლიადინი: თურქეთის მინდვრებზე თამაში საერთოდ ყველასთვის ძნელია და თუ ამას დავუმატებთ ამ ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების დიდ ბრძოლისუნარიანობას, ადვილად დავასკვნით, რომ საპასუხო მატჩი ერთობ ძნელი გვექნება.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: განვლილი მატჩის მომენტი. გოლი სტუმრების კარში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ფეხბურთი

# მარტა შული — სსრ კავშირის ჩემპიონი

ტოლიატიში მოჭადრაკე ქალთა 32-ე საკავშირო ჩემპიონატის ბოლო დღეს თამაშის განუახლებლად დასრულდა XIX ტურის ორი გადადებული პარტია: ა. კისლოვა (ომსკი) დანებდა ვ. კოზლოვსკაიას (პიატიგორსკი), ლ. იდელჩიკი (ხარკოვი) და ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი) კი ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, მთლიანად შეივსო ჩემპიონატის ცხრილი.

სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ლვოველმა ინჟინერ-მათემატიკოსმა, საერთაშორისო ოსტატმა მ. შულმა — 12 ქულა 19-დან. შარშან შულმა ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა. წლევანდელი წარმატება, რაც სავსებით დამსახურებულია, თამაშის სრულყოფისადმი ამ 23 წლის ნიჭიერი მოჭადრაკის ლტოლვის შედეგია. შული მოკრძალებული, ძალიან მშრომელი და შეუპოვარი სპორტსმენია. სწორედ ამ ღირსებებისთვის მას ჯილდოდ ხვდა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი და მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის საგზური. ოქროს მედალი დაიმსახურა აგრეთვე მისმა მუდმივმა მწვრთნელმა — უკრაინის სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. კარტმა.

საზონათშორისო ტურნირზე საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ორი მონაწილე უნდა გაემგზავროს, მაგრამ მათი ვინაობა ჯერჯერობით უცნობია: ორი საგზურის პრეტენზიას სამი მოჭადრაკე აცხადებს — საერთაშორისო ოსტატები ვ. კოზლოვსკაია, ი. ლევიტინა (ლენინგრადი) და ნ. კონოპლიოვა (მოსკოვი). მათ II-IV ადგილები გაიყვეს თითოეულმა 11,5 ქულით. სამივე მოჭადრაკე ვერცხლის მედლით დაჯილდოვდება, მაგრამ საზონათშორისო ტურნირის საგზურებისთვის ისინი დამატებით ორწრიან მატჩ-ტურნირს ითამაშებენ 18-29 დეკემბერს მოსკოვში.

სატურნირო ცხრილში შემდეგ ადგილებზე არიან: V-VIII. საერთაშორისო ოსტატი ო. ანდრეევა (ხარკოვი), ოსტატები თ. ბელოვა (ფსკოვი), ლ. საუნინა (სვერდლოვსკი), ლ. სემიონოვა (კიევი) — 10,5-10,5, IX-XII. საერთაშორისო ოსტატები ვ. ბორისენკო (ტაშკენტი), ა. კისლოვა (ომსკი), ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი), ა. ეპშტეინი (გორკი) — 10-10, XIII-XIV. მ. რანიკუ (ტალინი), ე. რუბცოვა (მოსკოვი) — 9,5-9,5, XV-XVII. ოსტატები ლ. იდელჩიკი (ხარკოვი), ბ. მკრტჩიანი (ტაშკენტი), მ. სამული (ტალინი) — 8,5-8,5, XVIII. ოსტატობის კანდიდატი ლ. შჩერბინა (სევასტოპოლი) — 7, XIX. ოსტატობის კანდიდატი ე. ბაჟინა (ლენინგრადი) — 6, XX. ოსტატი ლ. შადურა (კურსკი) — 4.

ხელბურთელ ვაჟთა VII საერთაშორისო ტურნირი „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

# ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს

თბილისი. სპორტის სასახლე. 2 დეკემბერი.

**გდრ (ნაკრები) — საქართველო (ნაკრები) 19:19 (12:11).**

მსაჯები — ლ. კესტეხენიე და ლ. მარკი (ორივე — უნგრეთი).

ეს ერთი ქულა, რომელიც საქართველოს ნაკრებმა გერმანელებთან მატჩში აიღო, მის მდგომარეობას სატურნირო ცხრილში ვერაფრით გააუმჯობესებდა. მაგრამ ეს იყო პრესტიჟის საქმე და აგრეთვე სსრ კავშირის ნაკრების მხარდაჭერაც. გერმანელებს კი მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. მასპინძლებმა თანაბარი მეტოქეობა გაუწიეს გერმანელთა ძლიერ გუნდს და, ბუნებრივია, სსრ კავშირის ნაკრებსაც კარგი სამსახური გაუწიეს. თუმცა, რომ იტყვიან, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს: საქართველოს ხელბურთელები ამ ბოლო ხანს უხეიროდ თამაშობენ და, ჩანს, გუნდში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გადამჭრელი ღონისძიებებია გასატარებელი.

**სსრ კავშირი (ნაკრები) — რუმინეთი (ნაკრები) 21:15 (10:10).**

მსაჯები—პ. ოვდალი და ქ. ხვენსონი (ორივე — დანია).

ერთხანს რუმინელები დაწინაურდნენ, მაგრამ სსრ კავშირის ნაკრებმა შეძლო თანდათან ჩარხის წაღმა დატრიალება და შესვენებისთვის ანგარიში საყაიმო იყო. შესვენების შემდეგ საბჭოთა გუნდის ლიდერმა ვ. გასმა რამდენიმე იერიში საუცხოოდ განახორციელა და გუნდი დააწინაურა. მას მალე თანაგუნდელებიც კარგად აჰყვნენ, გოლით დაგვირგვინებულ იერიშს იერიში მოსდევდა, რამაც საბოლოოდ გამარჯვება და I ადგილი განაპირობა.

• • •

VII საერთაშორისო ტურნირი დამთავრდა. შეგახსენებთ, რომ გაზეთ „ზარია ვოსტოკას" გარდამავალი პრიზი სამჯერ დაისაკუთრა სსრ კავშირის ნაკრებმა (1968, 1969 და 1972 წლებში). ორჯერ ყველას აჯობეს უნგრელებმა (1966 და 1967 წლებში), თითოჯერ — იუგოსლავიისა (1970 წ.) და გდრ-ის (1971 წ.) ნაკრებმა კოლექტივებმა.

ჯ. ენუქიძე.

### საბოლოო ცხრილი

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრკ | 3 | 0 | 1 | 90—75 | 6 |
| გდრ | 2 | 1 | 1 | 64—61 | 5 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 0 | 2 | 62—69 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 61—61 | 4 |
| საქართველო | 0 | 1 | 3 | 71—82 | 1 |

შენიშვნა: ჩეხოსლოვაკიის გუნდი III ადგილზე გავიდა რუმინელებთან მოგებით.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ტურნირში გამარჯვებული სსრ კავშირის ნაკრები.

მ. ზარგარიანის ფოტო.




# მეორე ნახევრის მიჯნაზე

ერთდღიანი დასვენების შემდეგ ბაქოში გუშინწინ გათამაშდა მოჭადრაკე ვაჟთა მე-40 საკავშირო ჩემპიონატის XI ტური.

რ. ჯინჯიხაშვილმა (თბილისი) დაამარცხა ლ. ალბურტი (ოდესა), მეორე თბილისელმა მოჭადრაკემ ე. გუფელდმა კი წააგო სსრ კავშირის ჩემპიონ ვ. სავონთან (ხარკოვი).

ი. ბალაშოვმა (მოსკოვი) მოუგო ვ. ბაგიროვს (ბაქო), ა. ლეინმა (მოსკოვი) — ს. ფურმანს (ლენინგრადი), დ. ბრონშტეინმა (მოსკოვი) — ა. კაპენგუტს (მინსკი).

ყაიმით დამთავრდა პარტიები: ვ. გრიგორიანი (ერევანი) — მ. მუხინი (ალმა-ათა), მ. ტალი (რიგა) — ი. რაზუვაევი (მოსკოვი), გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) — ვ. ტუკმაკოვი (ოდესა).

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ჩემპიონატის მეორე ნახევრის მიჯნაზე — 11 ტურის შემდეგ მ. ტალს 7 ქულა აქვს, ე. ვასიუკოვს (მოსკოვი) — 6,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, გ. კუზმინს — 6,5.

# კარპოვის ორი მოგება, ლარსენის ორი წაგება

სან-ანტონიო (ტეხასის შტატი), 3 დეკემბერი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში განვლილ ათ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო.

ორი გამარჯვება მოიპოვა კარპოვმა (სსრ კავშირი): მან მოუგო გლიგორიჩსა (იუგოსლავია) და სმითს (აშშ).

ორი პარტია წააგო ლარსენმა (დანია): დამარცხდა მეკინგთან (ბრაზილია) და ბრაუნთან (ავსტრალია). მესამე გადადებულ პარტიაში დანიელმა დიდოსტატმა ჰორტს (ჩეხოსლოვაკია) სძლია.

კაპლანმა (პუერტო-რიკო) აჯობა კამპოს-ლოპესს (მექსიკა), რომელმაც თავის მხრივ სძლია ბრაუნსა და სეიდის (აშშ). გლიგორიჩი კაპლანს დაუზავდა, ბირნმა კი დაამარცხა სეიდი.

სან-ანტონიო, 4 დეკემბერი. XI ტურში კარპოვმა ყაიმით დაამთავრა პარტია ევანსთან და 8,5 ქულით სათავეში ჩაუდგა გათამაშების ცხრილს.

# პოლუგაევსკი, გეორგიუ და პანო...

პალმა-დე-მალიორკა, 3 დეკემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირს 5 ტურის შემდეგ სამი ლიდერი ჰყავს — პოლუგაევსკი (სსრ კავშირი), გეორგიუ (რუმინეთი) და პანო (არგენტინა). მათ 3,5-3,5 ქულა აქვთ.

მორიგ ტურში პანომ მოუგო კორჩნოის (სსრ კავშირი), რობაჩმა (ავსტრია) — ბელონს (ესპანეთი), ბილეკმა (უნგრეთი) — კალვოს (ესპანეთი). პოლუგაევსკიმ წააგო ლიუბოევიჩთან (იუგოსლავია). ყაიმით დამთავრდა პარტიები: გეორგიუ — ბვერბახი (სსრ კავშირი) და ჰუგი (შვეიცარია) — ივკოვი (იუგოსლავია).

გადადებული პარტიების დამთავრებისას პოლუგაევსკიმ მოუგო ბელონს, ანდერსონმა (შვეცია) — პომარს (ესპანეთი), გეორგიუმ — ჰუგს.

3-3 ქულა აქვთ კორჩნოის, ბვერბახს, ლიუბოევიჩსა და რობაჩს.

ლელო — 4 — 5 დეკემბერი, 1972 წ.

# სპორტული დეკემბერი

წლევანდელი წლის ბოლო თვე დაასახელებს სსრ კავშირის ჩემპიონებს სამთოსათხილამურო სპორტში, ველოკროსში, ჭადრაკსა და ასუჯრიან შაშში. მოეწყობა სხვა საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებიც. გაგაცნობთ მათგან უმთავრესს.

### ველოსპორტი

8. სსრ კავშირის ჩემპიონატი კროსში (ბაქო).

### თავისუფალი ჭიდაობა

14-18. საერთაშორისო შეჯიბრება (ირანი).

### კალათბურთი

6. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება ვაჟთა გუნდებს შორის: „სოლნა იფ" (სოლნა, შვეცია) — „სპარტაკი" (ლენინგრადი). შვეცია.

10. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება ვაჟთა გუნდებს შორის: „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სოლნა იფ" (სოლნა, შვეცია). ლენინგრადი.

13-17. სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. ვაჟები. პირველი წრის პირველი ტური (კაუნასი).

15-19. სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. ვაჟები. პირველი წრის პირველი ტური (თბილისი).

22-27. სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. ქალები. პირველი წრის პირველი ტური (ელექტროსტალი, ტაგანროგი).

### კლასიკური ჭიდაობა

5. საერთაშორისო შეჯიბრება (შვეცია).

### კრივი

5-6. საერთაშორისო შეჯიბრება (ლენინგრადი).

### მაგიდის ჩოგბურთი

16. ევროპული ლიგის პირველობა: სსრ კავშირი — ინგლისი (მოსკოვი).

### მხატვრული ტანვარჯიში

16. სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრები გუნდების მატჩი (მოსკოვი).

### სათხილამურო სპორტი

22-24. საკავშირო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში (ლენინგრადი).

23. შეჯიბრება განათებულ ტრასაზე გაზეთ „ვეჩერნიაია მოსკვას" პრიზზე. ფინალი. (მოსკოვი).

30. XII.-6. I. საერთაშორისო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში — „ოთხი ტრამპლინის ტურნე" (გფრ, ავსტრია).

### სამთოსათხილამურო სპორტი

23-28. სსრ კავშირის ჩემპიონატი სამჭიდში (ალმა-ათა).

### საციგაო სპორტი

22-24. საკავშირო შეჯიბრება (ბრატსკი).

### ტანვარჯიში

5-11. საერთაშორისო შეჯიბრება (იაპონია).

### ფარიკაობა

5-9. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (ხარკოვი).

### ფეხბურთი

13. უეფა-ს თასი: „კაიზერსლაუტერნი" (კაიზერსლაუტერნი, გფრ) — „არარატი" (ერევანი). გფრ.

### ფიგურული ციგურაობა

9-13. საერთაშორისო შეჯიბრება „მოსკოვური ციგურები" (მოსკოვი).

### ფრენბურთი

9-10. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება ვაჟთა გუნდებს შორის: შვეიცარიის საკლუბო გუნდი — „ზვეზდა" (ვოროშილოვგრადი). შვეიცარია.

10. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ვაჟთა გუნდებს შორის: ცსკა — „დინამო" (ბუქარესტი). მოსკოვი.

17. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ვაჟთა გუნდებს შორის: „დინამო" (ბუქარესტი) — ცსკა (მოსკოვი). ბუქარესტი.

### შაში

18-29. ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა (ჰოლანდია).

### ძალოსნობა

21-25. სსრ კავშირის თასი (სოჭი).

### წყალში ხტომა

25-27. საკავშირო შეჯიბრების ფინალი ერთმეტრიანი ტრამპლინიდან და 7,5-მეტრიანი კოშკიდან წყალში ხტომაში (ლენინგრადი).

### ხელბურთი

10. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ვაჟთა გუნდებს შორის: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ავანტი" (ლებეკე, ბელგია). მოსკოვი.

12-17. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება (გდრ).

16-20. სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. ქალები. პირველი წრის პირველი ტური (ბაქო, მოსკოვი).

24. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ვაჟთა გუნდებს შორის: „ავანტი" (ლებეკე, ბელგია) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი). ბელგია.

### ჰოკეი

5. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი: ცსკა — „ბრიუნესი" (შვეცია). მოსკოვი.

16-23. საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე (მოსკოვი).

24. XII-7. I. საერთაშორისო შეჯიბრება „აჰერნის პრიზზე". მონაწილეობს მოსკოვის „სპარტაკი" (შვეცია).

24. XII-7. I. საერთაშორისო შეჯიბრება — „ვარსკვლავთა თასი", მონაწილეობს მოსკოვის „კრილია სოვეტოვი" (შვეცია).

24. XII-8. I. საერთაშორისო შეჯიბრება (აშშ).

25. XII-8. I. საერთაშორისო შეჯიბრება — „პოლარეთის თასი". მონაწილეობს ვოსკრესენსკის „ხიმიკი" (შვეცია).

26. XII-5. I. საერთაშორისო შეჯიბრება — „ახალი წლის ტურნირი". მონაწილეობს მოსკოვის „დინამო" (კანადა).

26. XII-6. I. საერთაშორისო შეჯიბრება — „სპენგლერის თასი". მონაწილეობს გორკის „ტორპედო" (შვეიცარია).

—72

● **მოსკოვი**, 3 დეკემბერი. დღეს აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებითმა მატჩმა, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარიის „სტად ფრანსესა" და ადგილობრივი ცსკა-ს კალათბურთელ ვაჟთა გუნდები. კონტინენტის ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელმა მოსკოველმა არმიელებმა ამჯერადაც სძლიეს შვეიცარიის ექვსგზის ჩემპიონს. შეხვედრის ანგარიშია 121:80 (60:43). ცსკა მეოთხედფინალში გავიდა.

● **ლაიპციგი**, 3 დეკემბერი. *მიუნჰენის XX ოლიმპიადის სატურნირო ცხრილში პირველ ექვს ადგილზე გასული ქვეყნების ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში დამაჯერებლად ლიდერობს მოსკოვის ცსკა. მან ოთხივე შეხვედრა მოიგო. ბოლოსწინა მატჩში არმიელებმა იაპონიის „მაცუსიტას" აჯობეს—3:0 (15:10, 15:9, 15:6). 3-3 მოგება აქვთ „სკ ლაიპციგსა" (გდრ) და ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამეს" (ბულგარეთი).*

● **პარიზი**, 3 დეკემბერი. საფრანგეთის აქ დაწყებულ ღია ჩემპიონატში მაგიდის ჩოგბურთის თითქმის ყველა უძლიერესი ოსტატი მონაწილეობს. გუნდური ტურნირის I ტურში საბჭოთა ქალთა ნაკრებმა (მოსკოველი ს. ფიოდოროვა და ერევნელი ე. ანტონიანი) დაამარცხა ნიგერიელები. — 3:0. საბჭოთა ვაჟების ნაკრებში არიან მოსკოველი ს. გომოზკოვი და ბათუმელი ს. სარხოიანი.

● **ფუკუოკა**, 3 დეკემბერი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფ. შორტერმა (აშშ) ყველას აჯობა იაპონიის ამ ქალაქში გამართულ მარათონელთა VII ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. 42 კმ და 195 მ მან საუცხოო შედეგით გაირბინა — 2:10.30. პრიზიორთა სამეულში შევიდნენ, აგრეთვე, ავსტრალიელი ჯ. ფარინგტონი (2:12.00,4) და იაპონელი კ. ოცუკი (2:14.00,6). მარათონში არაოფიციალური მსოფლიო მიღწევის მფლობელი, ავსტრალიელი დ. კლეიტონი მუხლის ტრავმის გამო ბრძოლას 25-ე კილომეტრზე გამოეთიშა. გარბენი, რომელშიც 70-მდე მძლეოსანი მონაწილეობდა, ჩატარდა ქარიან ამინდში, როცა თერმომეტრი მხოლოდ 12 გრადუს სითბოს უჩვენებდა.

● **რიგა**, 3 დეკემბერი. *ასუჯრიან შაშში საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ტურით ადრე კვლავ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ანდრეიკო ლიდერობს. მას 10,5 ქულა აქვს 15-დან. გულიაევთან მოგების შემდეგ ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება განტვარგი. ანდრეიკოს კორხოვიც მიუახლოვდა: მან ციპესი დაამარცხა და ახლა 9,5 ქულა აქვს. 9-9 ქულა დაუგროვდათ კუპერმანს, შჩოგოლევსა და სლობოდსკოის. ჯერჯერობით დაუმარცხებლად თამაშობენ ანდრეიკო, განტვარგი და სლობოდსკოი.*

● **სვერდლოვსკი**, 3 დეკემბერი. *სსრ კავშირის უძლიერესი მოთხილამურეები ერთმანეთს შეეჯიბრნენ „ურალის თასის" ტრასებზე, რომლებიც უკეთეს მთებში გადიოდა. 4 კილომეტრზე ქალთა რბოლა დამაჯერებლად მოიგო საპოროს ოლიმპიადის ჩემპიონმა გ. კულაკოვამ — 22.48. ვაჟთა შორის 12-კილომეტრიან მანძილზე ბადალი არ ჰყავდა ოლიმპიურ ჩემპიონს ფ. სიმაშოვს — 39.24.*

## ცენტრალური თავდამსხმელი დიდი ძალაა

„ა" კლასის I ჯგუფის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო გათამაშების პირველი მატჩი თბილისის „ბურევესტნიკმა", როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, ლენინგრადის არმიელებთან წააგო. არც განმეორებითს შეხვედრას უჩანდა კარგი პირი. ყოველ შემთხვევაში, სტუმრებმა დასაწყისშივე მიაღწიეს გარკვეულ უპირატესობას და ტაიმის მიწურულისთვის 15-ქულიანი მარაგი შექმნეს — 46:31.

მაგრამ მატჩის მეორე ნახევარში სურათი მკვეთრად შეიცვალა თბილისელთა სასარგებლოდ. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მოედანზე გამოვიდა ბოლქვაძე. ცენტრალური თავდამსხმელი ნებისმიერ გუნდში დიდი ძალაა, მით უმეტეს, როცა ერთ მხარეს რამდენიმე ორმეტრიანი კალათბურთელი თამაშობს, მეორე მხარეს კი ამ გიგანტების დამკავებელი არავინაა. და აი, როგორც კი ბოლქვაძე თამაშში ჩაება და ფარქვეშ საკვანძო ადგილი დაიკავა, თბილისელთა მოქმედებას სიმწვავე და გეგმურობა დაეტყო.

24-ე წუთზე სხვაობა 7 ქულამდე შემცირდა, 31-ე წუთისთვის კი მეტოქეებს ერთმანეთისგან მხოლოდ ქულა აშორებდა. შეხვედრის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ბოლქვაძემ პირველად დააწინაურა თავისი კოლექტივი — 65:64. მერე კი მასპინძლებმა მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა და შეხვედრის ბედიც თავის სასარგებლოდ გადაწყვიტეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სწორედ ბოლო ექვს წუთში „ბურევესტნიკმა" 15 ქულა აილო, ლენინგრადის ასკ-მ კი მხოლოდ 5. მატჩის საბოლოო შედეგია 80:69.

გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო მაგრაქველიძე, რომელმაც 30 წუთს დაჰყო მოედანზე და თავის კოლექტივს 28 ქულა შესძინა. კარგად ითამაშა ბოლქვაძემაც: მეორე ტაიმის 18 წუთში მან 15 ქულა აილო. ქების ღირსია მალალთაძეც. წინა დღეს იგი აზრიანად თამაშობდა თავდასხმაში, ახლა კი დაცვის სულისჩამდგმელიც იყო. ეს ახალგაზრდა კალათბურთელი განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა ფარქვეშ.

**ნ. ახვლედიანი.**

## ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

### პორტუგალია

განვლილ ტურში ლისაბონის „ბენფიკამ" სტუმრად მოუგო გიმარაიშის „ვიტორიას" — 2:1. გადამწყვეტი გოლი გაიტანა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბაპტისტამ. ლისაბონის „ბელენენსეშმა" შინ დაამარცხა ავეირუს „ბეირა მარი" (4:0), ხოლო ლისაბონის „სპორტინგმა" წააგო ბარეირუს კუფ-თან — 0:1.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 12 | 45:5 | 24 |
| „ბელენენსეში" | 12 | 24:15 | 18 |
| „სპორტინგი" | 11 | 26:11 | 15 |
| „ვიტორია" (სეტუბალი) | 12 | 30:11 | 14 |

### ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა" თავის მინდორზე ასტრონომიული ანგარიშით მოუგო როტერდამის „ექსცელსიორს" — 8:0. როტერდამის „ფეიენოორდმა" შინ აჯობა „ჰაარლემს" (1:0), ხოლო „ტვენტემ" ასევე თავის მინდორზე დაამარცხა „ჰააგა" — 2:0. გოლები გაიტანეს პალპლაცმა და იორინგმა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 14 | 50:7 | 24 |
| „ფეიენოორდი" | 14 | 34:7 | 24 |
| „ტვენტე" | 14 | 20:10 | 21 |

### იტალია

რომის „ლაციო", რომელიც წლეულს დაბრუნდა I ლიგაში, უკვე მესამე ტურია ლიდერობს. მართალია, ბოლო შეხვედრა ბერგამოში ადგილობრივ „ატალანტასთან" „ლაციომ" ფრედ დაამთავრა (1:1), იგი კვლავ ცხრილის სათავეშია. მილანის „ინტერნაციონალემ" შინ დაამარცხა „ტორინო" — 2:0, „რომამ" და „მილანმა" კი რომში ფრედ ითამაშეს — 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლაციო" | 8 | 10:4 | 13 |
| „ინტერნაციონალე" | 8 | 9:3 | 12 |
| „მილანი" | 8 | 21:10 | 11 |

### საფრანგეთი

„ნიცამ" შინ მოუგო „ბასტიას" (1:0) და ლიდერის მდგომარეობა განიმტკიცა. ბორდოში ადგილობრივმა „ჟირონდენმა" დაამარცხა ჩემპიონი და თასის მფლობელი — მარსელის „ოლიმპიკი" — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნიცა" | 16 | 41:18 | 26 |
| „ნანტი" | 16 | 26:16 | 21 |
| „ოლიმპიკი" (მარს.) | 16 | 30:12 | 20 |

### პოლონეთი

ზაბჟეს „გურნიკმა" სძლია სოსნოვეცის „ზაგლემბიეს" (1:0) და სეზონის დასაწყისში შერყეული ავტორიტეტი აღიდგინა. იგი ლიდერობს, როგორც ეს შეეფერება ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გურნიკი" | 13 | 15:5 | 18 |
| „რუხი" (ხოჟუვი) | 13 | 17:8 | 18 |
| „სტალი" (მიელეცი) | 13 | 22:13 | 16 |

### რუმინეთი

ბუქარესტის „დინამომ" აჯობა კლუჟის „უნივერსიტატეას" — 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო" | 13 | 20:13 | 17 |
| „სტიაუა" (ბუქ.) | 13 | 23:11 | 16 |
| „პეტროლული" (პლ.) | 13 | 11:8 | 16 |

### იუგოსლავია

სარაევოში შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „ფკ სარაევო" და „ჟელეზნიჩარი". მატჩი დამთავრდა ფრედ (1:1) და „ჟელეზნიჩარმა" ლიდერობისთვის ბრძოლაში მორიგი ქულა დაკარგა.

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ" შინ მოუგო ტუზლას „სლობოდას" — 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ცრვენა ზვეზდა" | 14 | 30:7 | 23 |
| „ველეჟი" (მოსტარი) | 14 | 22:10 | 20 |
| „ჟელეზნიჩარი" | 14 | 25:15 | 18 |

(საქ. ინფ.).

## უცხოეთის ფეხბურთის არენები

# ბნელი საქმე

**ტოკიო**, 2 დეკემბერი. როცა ქაღალდზე ხელისგულის ანაბეჭდებს ტოვებდნენ, იაპონიის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრების წევრები, ოლიმპიური თამაშების მომავალი ჩემპიონები ალბათ არ ფიქრობდნენ, რას გამოიწვევდა ეს. მათ ალბათ დაავიწყდათ, რომ იაპონელი საქმოსნები ცდილობენ ფული მოიგონ ყველა საშუალებით, მათ შორის, რეკლამის გზითაც. ამომავალი მზის ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთი მოთამაშის ხელისგულის ანაბეჭდი იაპონიის ქალთა ჟურნალის ყდაზე გაჩნდა და კარგ რეკლამად იქცა ამ ყოველკვირეულისთვის. იაპონელ ფრენბურთელ ვაჟებს სხვა დროსაც მიუღიათ მონაწილეობა სარეკლამო საქმიანობაში, რაც მოყვარული სპორტსმენებისთვის წესების დარღვევად ჩაითვალა.

მოხდა დიდი სკანდალი. იაპონიის სამოყვარულო სპორტის ასოციაციამ გადაწყვიტა დაესაჯა ფრენბურთის ასოციაციის მესვეურები. თავის მხრივ ამ ასოციაციის ხელმძღვანელობამ სცადა მთელი დანაშაული მარტო ვიცე-პრეზიდენტ ი. მაედასა და ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრების ყოფილ უფროს მწვრთნელ ი. მაცუდაირასთვის გადაებრალებინა. მიუხედავად ამისა, ფრენბურთის ასოციაციის საბჭოს სხდომაზე გადაწყდა თანამდებობიდან გაეთავისუფლებინათ აღმასკომის ყველა წევრი (44 კაცი), პრეზიდენტ ს. ნისიკავასა და ორი ინსპექტორის გარდა.

ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ ეს უპრეცედენტო შემთხვევაა იაპონიის სპორტში. სპორტის მიმომხილველები წერენ, ეს „ბნელი საქმეაო": ამ გადაწყვეტილების შემდეგ ს. ნისიკავას გადაკვრით უთქვამს, შეიძლება აღმასკომის ახალ შემადგენლობაში იმ მოხსნილი ხალხიდანაც მოხვდეს ზოგიერთიო.

## 22 იანვარს

როგორც ვიუწყებოდით, იანვარში იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ჯო ფრეზიერი თავისი წოდების დასაცავად შეხვდება ჯორჯ ფორმენს. ცნობილი გახდა ამ მატჩის ზუსტი თარიღიც: 22 იანვარი.

(საქ. ინფ.).

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა 7 დეკემბერს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04732